

**2019 წლის სპეციალური დანიშნულების  
ფინანსური ანგარიშგება**

**შპს “უნიფრი ჯორჯია“**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**შინაარსი:**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

**სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული პოლიტიკის განხილვა
3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
4. მიღებული სესხები
5. საპროცენტო ხარჯი
6. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
7. მოქმედი საწარმოს პრინციპი
8. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

| ლარი '000                             | შენიშვნა | 31<br>დეკემბერი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2018 |
|---------------------------------------|----------|-------------------------|-----------------------|-----------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                         |                       |                       |
| ძირითადი საშუალებები                  |          | -                       | -                     | -                     |
| არამატერიალური აქტივები               |          | -                       | -                     | -                     |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>-</b>                | <b>-</b>              | <b>-</b>              |
| <br>                                  |          |                         |                       |                       |
| წინასწარ გაწეული ხარჯები              |          | -                       | 3                     | -                     |
| დებიტორული დავალიანება                |          | 4,523                   | 5,014                 | 3,708                 |
| საგადასახადო აქტივი                   |          | 857                     | 3,227                 | 2,721                 |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 3        | 1,010                   | 58                    | 35                    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები             |          | <b>6,390</b>            | <b>8,302</b>          | <b>6,464</b>          |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>6,390</b>            | <b>8,302</b>          | <b>6,464</b>          |
| <br>                                  |          |                         |                       |                       |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                         |                       |                       |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | -                       | -                     | -                     |
| გაუნაწილებელი მოგება                  |          | 836                     | 879                   | 614                   |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>836</b>              | <b>879</b>            | <b>614</b>            |
| <br>                                  |          |                         |                       |                       |
| გრძელვადიანი სესხები                  | 4        | -                       | 507                   | 435                   |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>-</b>                | <b>507</b>            | <b>435</b>            |
| <br>                                  |          |                         |                       |                       |
| მიმდინარე ვალდებულებები               |          | 4,786                   | 6,728                 | 5,272                 |
| გადასახდელი პროცენტი                  | 4        | 200                     | 150                   | 105                   |
| მოკლევადიანი სესხი                    | 4        | 530                     |                       |                       |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები          |          | 38                      | 38                    | 38                    |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>5,554</b>            | <b>6,916</b>          | <b>5,415</b>          |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>6,390</b>            | <b>8,302</b>          | <b>6,464</b>          |

## ალი სენჰერ

შპს „უნიფრი ჯორჯიას“ დირექტორი .....

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

| ლარი '000                                    | შენიშვნა | 2019        | 2018        |
|----------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>                 |          |             |             |
| შემოსავალი რეალიზაციიდან                     |          | 3,283       | 9,452       |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                  |          | 565         | 1,116       |
| მომსახურების თვითღირებულება                  |          | (3,734)     | (10,169)    |
| <b>სხვა საოპერაციო ხარჯები</b>               |          |             |             |
| ადმინისტრაციული ხარჯი                        |          | (83)        | (90)        |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯი</b>             |          | <b>(83)</b> | <b>(90)</b> |
| <b>არასაოპერაციო ხარჯი</b>                   |          |             |             |
| საბანკო კომისიის ხარჯი                       |          | (1)         | (2)         |
| ვალუტის გადაფასებიდან მიღებული დანაკლისი     |          | (34)        | (2)         |
| საპროცენტო ხარჯი                             | 5        | (39)        | (40)        |
| <b>სულ არასაოპერაციო ხარჯი</b>               |          | <b>(75)</b> | <b>(44)</b> |
| <b>მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)</b> |          | <b>(43)</b> | <b>265</b>  |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

| ლარი '000                        | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|----------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------|
| ბალანსი 1 იანვარი 2018           | -                     | 614                     | 614             |
| 2018 წლის მოგება/(ზარალი)        | -                     | 265                     | 265             |
| <b>ბალანსი 1 იანვარი 2019</b>    | <b>-</b>              | <b>879</b>              | <b>879</b>      |
| მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)   | -                     | (43)                    | (43)            |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2019</b> | <b>-</b>              | <b>836</b>              | <b>836</b>      |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**  
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

| ლარი '000                                            | 2019         | 2018        |
|------------------------------------------------------|--------------|-------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>      |              |             |
| შემოსავალი ნავაჭრი ამონაგებიდან                      | 4,305        | 9,314       |
| შემოსავალი მომსახურებიდან                            | 135          | 149         |
| უკან დაბრუნებული გადასახადი                          | 2,900        | 1,000       |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები                  | (4,828)      | (10,443)    |
| მომსახურებისთვის გადახდილი თანხები                   | (1,448)      | -           |
| ადმინისტრაციული ხარჯები                              | (110)        | (70)        |
| სხვა ხარჯები                                         | (2)          | (2)         |
| <b>ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b> | <b>952</b>   | <b>(52)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>       |              |             |
| სესხის აღება                                         | -            | 75          |
| <b>ნეტო ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში</b>  | <b>-</b>     | <b>75</b>   |
| <b>ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა/(შემცირება)</b>        | <b>952</b>   | <b>23</b>   |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში</b> | <b>58</b>    | <b>35</b>   |
| კურსთაშორის სხვაობის ეფექტი                          | -            | -           |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს</b>      | <b>1,010</b> | <b>58</b>   |

## სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნიფრი ჯორჯია“ (შემდეგში «კომპანია») წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია - თბილისი, სამგორის რაიონი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებულ საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით.

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 6 ოქტომბერს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% მესაკუთრე არის სს უნიფრი დუთი ფრი იშლეთმიჯილილი. კომპანიას მართავს დირექტორი ალი სენჭერ - თურქეთის მოქალაქე.

### 2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული პოლიტიკის განხილვა

#### მომზადების საფუძველი

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანია აცხადებს, რომ:

მან ფინანსური ანგარიშგება პირველად წარადგინა 2018 წელს; შესაბამისად მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი; სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2018 წლის შესადარისი ინფორმაცია .

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების შედეგად მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანის დროს 2019 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

1 აშშ დოლარი = 2,8677 ლარი და 1 ევრო = 3,2095 ლარი.

### წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

### ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

### სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის მიერ რეალიზაციის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი (მომსახურება) და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-სა და ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე.



სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის მანამდე არსებული წესი. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. შესაბამისად კომპანია არ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

### დღგ

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესით/ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელო თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

### ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## 3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

| ლარი '000                                 | 31<br>დეკემბერი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2018 |
|-------------------------------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------|
| მიმდინარე ანგარიშები ბანკში               | 1,010                   | 58                    | 35                    |
| ნაღდი ფული                                | -                       | -                     | -                     |
| სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 1,010                   | 58                    | 35                    |

## 4. მიღებული სესხები

| ლარი '000                                           | 31<br>დეკემბერი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2018 |
|-----------------------------------------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------|
| სესხი დაკავშირებული იურიდიული პირისაგან             | 530                     | 507                   | 435                   |
| გადასახდელი პროცენტი (დაკავშირებული იურიდიული პირი) | 200                     | 150                   | 105                   |
| სულ მიღებული სესხები                                | 730                     | 657                   | 540                   |

## 5. საპროცენტო ხარჯი

| ლარი '000                                         | 2019 | 2018 |
|---------------------------------------------------|------|------|
| დარიცხული პროცენტი (დაკავშირებული იურიდიული პირი) | 50   | 35   |
| სულ საპროცენტო ხარჯი                              | 50   | 35   |

## 6. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

| ლარი '000          | 31<br>დეკემბერი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2019 | 01<br>იანვარი<br>2018 |
|--------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------|
| მიღებული სესხი     | 530                     | 507                   | 435                   |
| დარიცხული პროცენტი | 200                     | 150                   | 105                   |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## 7. მოქმედი საწარმოს პრინციპი

2019 წლის მაისის თვეში კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება საოპერაციო საქმიანობის, კერძოდ საქონლით ვაჭრობისა და საიჯარო მომსახურების, შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად 2019 წლის ივნისიდან კომპანიას არ განუხორციელებია საოპერაციო საქმიანობა.

## 8. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

გარდა ზემო აღნიშნულისა კომპანიას არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.